საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს
ეკატერინე ტიკარაძეს

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსს
ლერი ბარნაბიშვილს

**ზოგადი წინადადება**

***სასამართლო-ფსიქიატრიული და კომპლექსური ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებისას ასაკის ნიშნით დისკრიმინაციული პრაქტიკის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე***

*მიღებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14 [1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.*

ქალბატონო ეკატერინე,

ბატონო ლერი.

2019 წლის 30 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „საფარი“-ს განცხადება (N 11248/19), რომლის საფუძველზე, სახალხო დამცველმა შეისწავლა 10 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის, კომპლექსური ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების, ასევე, ამ პროცესში არასრულწლოვანთა გამოკითხვის, გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავებისა და შეფასების საკითხები.

1. **ფაქტობრივი გარემოებები**

განმცხადებელი ორგანიზაცია მიუთითებს, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში 10 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის, კომპლექსური ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების, ასევე, ამ პროცესში არასრულწლოვანთა გამოკითხვის, გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავება და შეფასება ბლანკეტურ ხასიათს ატარებს. კერძოდ, მსგავსი ტიპის ექსპერტული დასკვნები 10 წლამდე ბავშვის მიერ ექსპერტიზისთვის მიცემული ინფორმაციის რეალური გაანალიზების გარეშე მზადდება და გაიცემა, რაც, შესაძლოა, უკავშირდებოდეს 10 წლამდე ასაკის ბავშვთა მიმართ ასაკის ნიშნით

დისკრიმინაციულ მოპყრობას. განმცხადებელი ორგანიზაციის განმარტებით, მსგავს საქმეებზე გაცემული *დასკვნებში აღნიშნულია, რომ 10 წლამდე ბავშვს, მცირეწლოვანების გამო, არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცეს ჩვენება.*

განცხადების თანახმად, ორგანიზაციის პრაქტიკაში გამოიკვეთა რამდენიმე საქმე, რომლებშიც ექსპერტიზის ბიუროს მხრიდან გაიცა უარყოფითი დასკვნა ასაკზე აპელირების არგუმენტით და შეფასება არ მისცემია არასრულწლოვან მოწმეთა რამდენიმე საათიანი გამოკითხვისას მიღებულ ინფორმაციას. განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ ერთ-ერთ საქმეში, იმავე შემთხვევაში სხვა დაწესებულების მიერ, იგივე ტიპის ექსპერტიზით დადგინდა საწინააღმდეგო და ბავშვთა ფსიქოლოგის მიერ გამოკითხული 10 წლამდე ასაკის ბავშვების ჩვენებები მიჩნეულ იქნა სანდოდ.[1]

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციით, 2017-2019 წლებში სასამართლო-ფსიქიატრიული და კომპლექსური ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა ჩაუტარდა 73 არასრულწლოვან მოწმეს, რომელთაგან 10 წელზე ნაკლები ასაკის იყო 28 პირი, ხოლო 10-დან 17 წლამდე ასაკის იყო 45 პირი. **10 წლამდე ასაკის გამოსაკვლევ პირებში ყველა - 28 შემთხვევაში, ხოლო 10-დან 17 წლამდე ასაკის 4 შემთხვევაში შეფასდა, რომ გამოსაკვლევ პირებს, თავიანთი ფსიქიკური მდგომარეობით, არ შეეძლოთ, სწორად აღექვათ, დაემახსოვრებინათ და გადმოეცათ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მიეცათ ჩვენება.** 10-დან 17 წლამდე ასაკის გამოსაკვლევ პირებში 41 შემთხვევაში ექსპერტული შეფასების მიხედვით, გამოსაკვლევ პირს შეეძლო, თავისი ფსიქიკური მდგომარეობით, სწორად აღექვა, დაემახსოვრებინა და გადმოეცა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მიეცა ჩვენება[2].

აღსანიშნავია, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტში 10 წლამდე და 10-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა სასამართლო-ფსიქიატრიული, აგრეთვე კომპლექსური სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა ტარდება ერთიანი მეთოდოლოგიის (ინსტრუმენტის) გამოყენებით; ექსპერტები სარგებლობენ სასამართლო ფსიქიატრისა და ფსიქოლოგიის დარგში შემუშავებული მეთოდიკითა და წესებით[3].

---

[1] ორგანიზაცია „წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის“ დასკვნა ე. უ.-ს საქმეზე და იმავე საქმეში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდში - NICHD პროტოკოლით გამოკითხვა.

[2] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კორესპონდენცია N 12809/19, 09.10.2019.

[3] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კორესპონდენცია N15385/19, 11.12.2019.

## 2. სამართლებრივი შეფასება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი კანონის მიზანს განსაზღვრავს, რაც მდგომარეობს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრასა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფაში რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

ამავე კანონის მეორე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ირიბი დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც არსებული წესი ან პრაქტიკა არის ნეიტრალური - უფლებით სარგებლობისას არ აწესებს შეზღუდვას რომელიმე ჯგუფის მიმართ, თუმცა, არაპირდაპირ გამორიცხავს რომელიმე პირის ან პირთა ჯგუფის მიერ უფლების გამოყენებას, ვინაიდან ეს უკანასკნელნი ვერ აკმაყოფილებენ რაიმე კრიტერიუმს. ამასთან, ამგვარი მიდგომით პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი ან განსხვავებული მოპყრობა ასეთი მიზნის მიღწევის არაპროპორციული საშუალებაა.

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, საერთო პოლიტიკა ან ღონისძიება, რომელმაც გამოიწვია არაპროპორციულად მავნე შედეგი ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მიმართ, შეიძლება ასევე ჩაითვალოს დისკრიმინაციულად, იმის

მიუხედავად, რომ იგი არ ისახავდა ასეთ მიზანს და არ იყო უშუალოდ ამ ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული.[4]

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი ყველა ბავშვის კონვენციით გათვალისწინებულ ყველა უფლებას, დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დაბადების, მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების ანდა რაიმე სხვა გარემოებების მიუხედავად.

კონვენციის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოხატოს ეს შეხედულებანი ბავშვთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, ამასთან ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს მისი ასაკისა და მოწიფულობის შესაბამისად. ამ მიზნით, ბავშვს, უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მოსმენილ იქნეს ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი, ან წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობის პროცესუალური ნორმებით[5].

„მოწმე და მსხვერპლი ბავშვების მონაწილეობით სამართალწარმოების შესახებ“ გაეროს სახელმძღვანელო მითითებების თანახმად, უნდა იქნას აღიარებული, რომ ბავშვებს, მათი ასაკის, სიმწიფის დონის შესაბამისად აქვთ სპეციალური საჭიროებები.[6] ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარის N12 თანახმად, ბავშვის მოსმენის უფლების რეალიზაცია სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებას გულისხმობს. მათ შორის, მნიშვნელოვანია, რომ გარემო, რომელშიც ბავშვი განახორციელებს თავის უფლებას, იყოს ხელსაყრელი და წამახალისებელი, რათა ბავშვი დარწმუნდეს, რომ პასუხისმგებელ პირს სურს მისი მოსმენა და სერიოზულად განიხილავს მის სათქმელს. ხოლო, თუ ბავშვს აქვს უნარი, საკუთარი თვალსაზრისი გონივრულად და დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს, გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა მისი შეხედულებები უნდა განიხილოს როგორც საკითხის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი.[7]

---

[4] ECtHR, D.H. and Others v. the Czech Republic [GC], no. 57325/00, 13/11/2007, § 175

[5] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 12 (2).

[6] ECOSOC Resolution 2005/20 Guidelines on Justice in Matters involving Child Victims and Witnesses of Crime; ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: https://www.un.org/en/ecosoc/docs/2005/resolution%202005-20.pdf

[7] GENERAL COMMENT No. 12 (2009) The right of the child to be heard; UNITED NATIONS COMMITTEE ON THE RIGHTS OF THE CHILD Fifty-first session Geneva, 25 May-12 June 2009, ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: https://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/AdvanceVersions/CRC-C-GC-12.pdf

ბავშვის უფლებათა კოდექსი ეროვნულ დონეზე განამტკიცებს თანასწორობის ძირითად პრინციპს და განმარტავს, რომ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ან/და ქმედების განხორციელებისას საჯარო დაწესებულება, ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან პატივი სცენ თითოეულ ბავშვს, დაიცვან იგი და თანასწორად მოეპყრონ ბავშვებს. ამასთან, სახელმწიფო უზრუნველყოფს ყველა ბავშვისთვის თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს და იღებს განსაკუთრებულ ზომებს ნებისმიერი სახის უთანასწორობის აღმოსაფხვრელად[8].

ბავშვის მიმართ ნებისმიერი მოქმედების განხორციელების დროს, ამოსავალი უნდა იყოს მისი საუკეთესო ინტერესები და გამოყენებულ უნდა იქნას ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი; ეროვნულ დონეზე, ბავშვის საუკეთესო ინტერესები განიმარტება, როგორც ბავშვის კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, საზოგადოებრივი, ზნეობრივი და სხვა ინტერესები, რომლებიც განისაზღვრება ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მისი მონაწილეობით და მისი მოსაზრების გათვალისწინებით[9].

ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს, რომლებიც ბავშვისთვის ინდივიდუალურად, ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად განისაზღვრება[10].

ბავშვის უფლებათა კოდექსი ასევე განამტკიცებს არასრულწლოვნის უფლებას მისი აზრის მოსმენასა და მონაწილეობაზე[11], კერძოდ:

- ბავშვს უფლება აქვს, მოუსმინონ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც მის რომელიმე უფლებას ეხება ან გავლენას მოახდენს მის რომელიმე უფლებაზე, და გაითვალისწინონ ბავშვის მოსაზრება მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.
- ბავშვს უფლება აქვს, მოუსმინონ ყოველთვის, როდესაც მას აზრის გამოთქმის სურვილი აქვს, უშუალოდ, მისი ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისი მხარდაჭერით, მისთვის სასურველი და შესაძლებელი კომუნიკაციის ფორმითა და საშუალებით.
- დაუშვებელია პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლების ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა გარემოების საფუძველზე შეზღუდვა.

---

[8] ბავშვის უფლებათა კოდექსი, მუხლი 7 (1, 2).
[9] ბავშვის უფლებათა კოდექს, მუხლი 3 (,,თ").
[10] ბავშვის უფლებათა კოდექსი, მუხლი 5 (1).
[11] ბავშვის უფლებათა კოდექსი, მუხლი 8.

- ბავშვთან გასაუბრებისა და მისი აზრის მოსმენის პროცესი უნდა იყოს ინფორმაციული, ნებაყოფლობითი, ბავშვისადმი პატივისცემისა და ანგარიშვალდებულების გამომხატველი, ბავშვისთვის მორგებული, ინკლუზიური, უსაფრთხო, ბავშვის საკითხებზე სათანადოდ მომზადებული სპეციალისტების მიერ წარმართული.

ამასთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. ამავე კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანი შეიძლება გამოიკითხოს/დაიკითხოს, თუ მას შეუძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით გადმოსცეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ შეიძლება გამოიკითხოს ან მოწმედ დაიკითხოს პირი, რომელსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მიაწოდოს ინფორმაცია ან მისცეს ჩვენება. ამავე კოდექსის 75-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოწმის ჩვენება მტკიცებულება ვერ იქნება, თუ მოწმე ვერ მიუთითებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს ან თუ დადგინდება, რომ ფსიქიკური ავადმყოფობის ან ფიზიკური ნაკლის გამო მას არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სასამართლო-ფსიქიატრიული და კომპლექსური ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესი რეგულირდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 19 ივნისის N142 ბრძანებით „სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ. აღნიშნული ბრძანების მე-11 მუხლი განსაზღვრავს, რომ ***არასრულწლოვანთა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა ტექნიკური და ორგანიზაციული თვალსაზრისით ტარდება სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების საერთო ნორმების მიხედვით.*** გამოკვლევის საფუძველზე უნდა დადგინდეს, აქვს თუ არა პირს უნარი, მთლიანად ან ნაწილობრივ უწევდეს ანგარიშს თავის მოქმედებას და განაგებდეს მას. ამ მიზნით ინიშნება ფსიქოლოგიური ან კომპლექსური ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. თუმცა, ***აღნიშნული წესი და რეგულაციები ზოგადი ხასიათისაა და უშუალოდ ექსპერტიზის ჩატარების კონკრეტული და სპეციფიური წესი, მიღებული შედეგების დამუშავებისა და შეფასების პირობები 10 წლამდე და 10 წელს ზემოთ ასაკის არასრულწლოვნებთან მიმართებით არ არის დიფერენცირებული და არ არის მორგებული ბავშვთა საჭიროებებზე.***

სახალხო დამცველი განმარტავს, რომ ბავშვის გამოკითხვა კონკრეტული გარემოებების შესახებ, სისხლის სამართლის საქმეში, უაღრესად მნიშვნელოვანია. გამომდინარე საკითხის სპეციფიკიდან, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მხრიდან

პროცესის მონაწილე არასრულწლოვნის, რომელიც საქმეში შეიძლება იყოს მოწმე ან დაზარალებული, სასამართლო-ფსიქიატრიული და კომპლექსური ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება და შედეგების შეფასება საჭიროებს მაღალი სტანდარტისა და ინდივიდუალური მოპყრობის პრინციპის გამოყენებას, ასევე შესაბამისი კადრებისა და ბავშვზე მორგებული ინფრასტრუქტურული და სოციალური პირობების არსებობას. ყოველივე აღნიშნული კი ეროვნულ დონეზე ამ დრომდე არ არის მისაწვდომი არასრულწლოვნებისთვის. 10 წლამდე ასაკის ბავშვებში სასამართლო-ფსიქიატრიული და კომპლექსური ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესი ატარებს ბლანკეტურ ხასიათს, რაც დასტურდება შეფასების მეთოდებითა და მიღებული შედეგებით, ვინაიდან, 2017 წლიდან დღემდე არც ერთ შესწავლილ შემთხვევაში 10 წლამდე ასაკის ბავშვის სასამართლო-ფსიქიატრიული და კომპლექსური ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის შედეგად არ დადგენილა, რომ არასრულწლოვანს შეეძლო სწორად აღექვა, დაემახსოვრებინა და გადმოეცა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები. არსებული სტატისტიკური მონაცემები წარმოაჩენს ნორმატიულ დონეზე არსებულ ხარვეზს, რომლის თანახმად, არ არსებობს სპეციალური სახელმძღვანელო პრინციპები და რეგულაციები არასრულწლოვანთა სასამართლო-ფსიქიატრიული და კომპლექსური ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ.

სახალხო დამცველის მიუთითებს, რომ 10 წლამდე ასაკის ბავშვები, 10 წლის ზემოთ ასაკის ადამიანებთან შედარებით, მათი გონებრივი მომწიფებულობის გათვალისწინებით, საჭიროებენ განსხვავებულ მოპყრობას. ის ფაქტი, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს არასრულწლოვანთა სასამართლო-ფსიქიატრიული და კომპლექსური ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ სპეციალური სახელმძღვანელო პრინციპები, 10 წლამდე არასრულწლოვან პირებს არათანაბარ მდგომარეობაში აქცევს მათზე ასაკით უფროს პირებთან შედარებით. მსგავსი პრაქტიკა წარმოადგენს ასაკის ნიშნით დისკრიმინაციულ მოპყრობას, ვინაიდან არსებული საერთო წესი უარყოფითად აისახება 10 წლამდე ასაკის ბავშვებზე.

**დასკვნა**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი გარემოებებისა და სტატისტიკური ინფორმაციის შეჯამებით, სახალხო დამცველის შეფასებით, 10 წლამდე ასაკის ბავშვთა შესაბამისი ექსპერტიზის შედეგები ერთგვაროვანია, ვინაიდან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 19 ივნისის N142 ბრძანების „სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ“ მე-11 მუხლის თანახმად, ***არასრულწლოვანთა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა ტექნიკური და ორგანიზაციული თვალსაზრისით ტარდება სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების საერთო ნორმების მიხედვით.***

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14[1]-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ ზოგადი წინადადებით:

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:**

- ნორმატიულ  დონეზე შემუშავდეს სპეციალური სახელმძღვანელო პრინციპები და რეგულაციები 10 წლამდე და 10 წლის ზემოთ 18 წლამდე არასრულწლოვანთა სასამართლო-ფსიქიატრიული და კომპლექსური ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის  შესახებ;

**სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს:**

- 10 წლამდე ასაკის სასამართლო-ფსიქიატრიული და კომპლექსური ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებისა და შედეგების შეფასების პროცესში არსებითად იქნას გათვალისწინებული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი და საჭიროებები; თითოეული შემთხვევა შეფასდეს ინდივიდუალური და ფაქტობრივი გარემოებებისა და მახასიათებლების საფუძველზე.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის თანახმად.

პატივისცემით,